საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №03

ქ. ბათუმი **05 მაისი, 2016 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ნახჭევანის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-10 მუხლის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, მ. გიორგაძის 2016 წლის 31 მარტის მოხსენებითი ბარათისა (MES 91600319613) და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ნახჭევანის უნივერსიტეტს შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალოს გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ნახჭევანის უნივერსიტეტიდან ბსუ-ში სასწავლებლად ჩამოსული ორი სტუდენტისთვის (რუსული ფილოლოგიის საგანმანმანთლებლო პროგრამაზე ჩარიცხული ნარმინ სულეიმანოვა და ინგლისურ ფილოლოგიაზე ჩარიცხული აისელ იმანოვა) 2015-2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრში (2016 წლის 29 თებერვლიდან ოთხი თვის განმავლობაში) ყოველთვიურად, სტიპენდიის - 150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, დანიშვნა.

2. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გამოსცეს გადაწყვეტილების პირველ პუნქტში აღნიშნულ სტუდენტებისათვის 2016 წლის მარტში და აპრილში მისაღები სტიპენდიის ერთჯერადად, ხოლო მომდევნო ორი თვის სტიპენდიის - ყოველი თვის არა უგვიანეს 30 რიცხვისა გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტის მიღება.

3. გადაწყვეტილება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს სტუდენტების პირად საქმეებში.

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**